



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 266/ს
14/06/2023

266-21-4-202306141740



**მარნეულის მუნიციპალიტეტში სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა
„საქრუსენერგოს“ 500 კვ ეგზ „მარნეული-აირუმის“ (500 კვ ეგზ „მუხრანის“ №42
საყრდენიდან საქართველო-სომხეთის საზღვრამდე) ექსპლუატაციის პირობების
ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგოს“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია მარნეულის მუნიციპალიტეტში 500 კვ ეგზ „მარნეული-აირუმის“ (500 კვ ეგზ „მუხრანის“ №42 საყრდენიდან საქართველო-სომხეთის საზღვრამდე) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

2023 წლის 9 იანვარს მარნეულის მუნიციპალიტეტში სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგოს“ 500 კვ ეგზ „მარნეული-აირუმის“ (500 კვ ეგზ „მუხრანის“ №42 საყრდენიდან საქართველო-სომხეთის საზღვრამდე) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №5/ს).

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების თანახმად, 500 კვ ეგზ „მარნეული-აირუმის“ მშენებლობის ფარგლებში გათვალისწინებულია მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფ. კასუმლოს მიმდებარედ, 18,5 კმ სიგრძისა და 500 კვ სიმძლავრის ეგზ „მარნეული-აირუმის“ მოწყობა, რომელიც გაყვანილი იქნება არსებული 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის („მუხრანი“) №42 საყრდენიდან საქართველო-სომხეთის საზღვრამდე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, გზმ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული 500 კვ ეგზ „მარნეული-აირუმის“ №119 საყრდენის განთავსების ადგილი (ს/კ: 83.12.17.069; ფართობი 382 მ²) ნაწილობრივ ხვდება საქართველო-სომხეთის 500 მეტრიან სასაზღვრო ზოლში, ხოლო მთლიანი ფართობიდან დაახლოებით 173მ² გადადის სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, დაგეგმილია 500 კვ ეგზ „მარნეული-აირუმის“ №119 საყრდენის საქართველოს ტერიტორიულ საზღვრებში

გადმოტანა და თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული ადგილიდან 65 მეტრის დაშორებით განთავსება (GPS კოორდინატები: X-491940.37, Y-4568496.38). ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული №119 საყრდენის განთავსების ადგილიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი, სოფ. კასუმლო, დაშორებულია დაახლოებით 4,5 კილომეტრით.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, №119 საყრდენის ადგილზე დამონტაჟდება „Y2+5“ ტიპის საანკერო-კუთხური საყრდენი, რომლისთვისაც სამირკვლად გამოყენებული იქნება ანაკრები და რკინა-ბეტონის სოკოსებრი ბლოკები („7271TM“ ტიპური პროექტის მიხედვით). აღნიშნული საყრდენის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების ფარგლებში მოიხსნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მომზადდება ქვაბული, რომლის ფსკერი მოსწორდება 10-15 სმ სისქის ხრეშის/ლორღის ფენილით და შეივსება 20-30სმ სისქის გრუნტით. საყრდენის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების პროცესში მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა დროებით განთავსდება საპროექტო საყრდენის მიმდებარედ და სამუშაოების დასრულების შემდგომ გამოყენებული იქნება რეკულტივაციისათვის, ხოლო ექსკავირებული გრუნტი გამოყენებული იქნება უკუყრისთვის.

დოკუმენტში წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები, რომლის თანახმად, საკვლევ არეალში გავრცელებულია 3 ძირითადი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე). სგე 1 წარმოდგენილია ნიადაგის ფენით - ნიადაგი, მუქი ყავისფერი თიხნარი, მცენარეული ფესვები (სიმძლავრე - 0,50-0,70 მ), სგე 2 წარმოდგენილია გამოფიტული კირქვებით - გამოფიტული კირქვები და მერგელები, დისლოცირებული (სიმძლავრე - 0,5 - 2,2მ), ხოლო სგე 3 წარმოდგენილია კირქვებით - სუსტად გამოფიტული კირქვები და მერგელები, დანაპრალიანებული (სიმძლავრე 2,2- 5,0 მ). საკვლევ მოედნის და მისი მიმდებარე ტერიტორიის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საშიში გეოდინამიკური პროცესების კვალი არ აღინიშნება და საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით საპროექტო ტერიტორია მდგრადია.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ვინაიდან, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებულია მხოლოდ №119 საყრდენის ადგილმდებარეობის მცირედით (65 მეტრი) ცვლილება, დაგეგმილი საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული დამატებითი სამშენებლო სამუშაოების წარმოებასთან, ნარჩენების წარმოქმნასთან და ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან, ასევე, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის/ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების გაზრდასთან.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული №119 საყრდენის განთავსების ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. აღნიშნული საყრდენის გადატანა მოხდება 500 კვ ეგზ

„მარნეული-აირუმის“ ბუფერში, რომელიც შესწავლილია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეტაპზე.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, სააგენტოში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.


სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, სპეციფიკისა და მასშტაბისა და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, არ გამოიწვევს გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების გაზრდას.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტში სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგოს“ 500 კვ ეგხ „მარნეული-აირუმის“ (500 კვ ეგხ „მუხრანის“ №42 საყრდენიდან საქართველო-სომხეთის საზღვრამდე) ექსპლუატაციის პირობების ცვლილება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგო“ ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს 2023 წლის 9 იანვარს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №5/ს) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგოს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგოს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და მარნეულის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო თანდილაშვილი



სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

